



— 17 ივლისი — სსრკ საჰაერო ფლოტის დღე.
— 24 ივლისი — სსრ კავშირის სამხედრო საზღვაო ფლოტის დღესასწაული.

173
12/111 9
1

— გილოცავ თქვენს დღესასწაულს, მოხარული ვარ, რო-
გზუდავ, რომ ზეცა ჩვენს სახელოვან ხომალდებს უპყრი-
— მოგესალმები თქვენი დღეობის გამო, გვახარებს, რომ
ღვას ჩვენი უძღვეველი ხომალდები ჰფლობენ!

ბ. ა. კანდელაკისა

„მძიმა სასჯელი“

ცნობილი ნაციტი, გერმანიის სამხედრო დამნაშავე, იალმარა შახტი ლიუდვიგსბურგის სადენაციფიკაციო სასამართლომ სრულიად გაათავისუფლა. ამერიკელ სამხედრო საოკუპაციო ხელისუფალთ განზრახვა აქვთ შახტს უბოძონ მეურნეობის მინისტრის პოსტი დასავლეთ გერმანიის მომავალ „სახელმწიფოში“.

ნახ. გ ლომიძისა



— ბრალდებულ შახტო! ლიუდვიგსბურგის სადენაციფიკაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით თქვენ უნდა ჩაგვხვდეთ... დასავლეთ გერმანიის მეურნეობის მინისტრის სავარძელში.

აგომაჰი თაგვი და კაგა

ინგლისი სთხოვს ამერიკას შეასრულოს ამ უკანასკნელმა თავისი პირობა და ინგლისს გადასცეს ატომური ბომბების დამზადების საიდუმლოებანი. ამერიკა უარს აცხადებს პირობის შესრულებაზე, რაც აღშფოთებას იწვევს ინგლისის ოფიციალურ წრეებში.

(მიხალკოვისებურად)

თაგვი ღვინით სახვე კასრში გადავარდა თავდაპირა, ჩაყვინთა და გაიფულა, დასახრჩობად გაიწირა: მოფართხალემ, კასრის თავზე კატას მოჭკრა უცებ თვალი და მუდარით შველა სთხოვა, უთხრა:—დამდე „ძმური ვალი“: აქ დახრჩობას მირჩევნია შენი ლუკმა გავხდე ისევ, ამიყვანე და როცა გსურს გადამსანსლე, იხალისე! კატამ ხეწნა შეუსრულა, აიყვანა თათით ხელად, გასაშრობად მზეზე დასვა და უცდიდა შესაქმელად. მაგრამ თაგვი როცა შეშრა, კვლავ კუნთებში იგრძნო ძალი, ისკუბა და თავის ჯალათს ძველ სოროში დაემალა. —არ გრცხვენია, სიტყვას რომ სტყვი?— უთხრა კატამ გულიწყრომით, — გენდე, შენ კი თავს უშველე ჩვეულ გაძრომ-გამოდრომით?! —სცდები, —უთხრა თაგვმა, —ისემც შესცდეს შენი მტერიო, მთვრალი კაცი რახაც გეტყვის — ის რა დასაჯერიო?

ჩვენ ერთურთის მოტყუებას თავიდანვე რჯულად ვთვლითო, რაღაც „პატიოსნებისთვის“ ამ რჯულს ხომ არ შევიცვლითო? * * * თაგვისა და კატის მორალს, ან მაგალითს მათებურსა, ვინ ამყვება, ვინ განსჯის და ვინ ათხოვებს ახლა ყურსა? მაგრამ როცა იანკის და ჯონ-ბულს შორის დაწყებული „ტკბილი“ დავა, ჩუმი დავა გავიგე და მოვკარე ყური, უნებურად გავიხსენე, რომ ზღვარი რამ გავატარო და ის თაგვი—ოკეანეს გადაღმელ თაგვს შევადარო. ჰოდა, აი საოცრება რაც ჯერ არვის არ უნახავს: ატომურ თაგვს, უატომო კატის შეგმა განუზრახავს! ასე იცის, როცა მაღა ცხოველებშიც გაიზრდება, მაშინ წესიც ბუნებისა მაღის მქონეს ეფარდება, — ჯონ-ბულ (კატა) უილაჯოდ კნავის, კნავის საცოდავი: რომ იანკის (თაგვის) ლუკმად თვითვე გაიხადა თაგი!

ფარსაღანი



მოკითხვით და ნახვის ნახვრით

ახალქალაქის რაიონის ს. ჩუჩინის საზ. სკოლის მასწავლებელს სავანები აღდგომილქაშს

პატივცემულო საგენტი! გთხოვთ ეს ჩვენი მოკითხვა ჩავგიტვალთ იმ ვიზიტის სამაგიეროდ, რომელიც თქვენთვის საზაფხულო გამოცდების დროს უნდა გაგვეკეთებინა.

გავიგეთ, სამდურავი გითქვამთ:—რატომ არ ჩამოვიდა ნიანგი—გამოცდებზე ჩემს უნარებს ვაჩვენებდით!

ვიჩქარით გაცნობოთ, რომ თქვენი „უნარები“ უკვე დაწვრილებით გავიგენით.

მართლაც და დიდი მოხერხება, დიდი აღმზრდელობითი მჭვრეტელობა გამოგჩინიათ, როცა გამოსაცდელი მოწაფეები შინ მიგიწვევიათ და დაწვრილებით გავიცვნიათ მათთვის გამოსაკითხი საგნების ბილეთები. მართალია, აღნიშნული ბილეთები წესით მხოლოდ მასწავლებლისა და გამომცდელი კომისიის წევრების საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს, მაგრამ თქვენც ხომ საიდუმლოდ გააცანით ბავშვებს ისინი? არც დირექტორს, არც რაიგანათლების განყოფილების გამგეს არ გაუგია, თუ როგორ დანიშნეთ ყველა ნაცნობი მოწაფისთვის „განკუთვნილ“ ბილეთებზე მათი ინიციალები და დაარიგეთ:

—არ დაგავინწყეთ ბავშვებო, იცანით თქვენი ბილეთები და ის თემები ჩამიბუღბუღეთ, რაც მათში წერიაო.

გუდახდით უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა კარგად გქონდათ გათვალისწინებული თქვენი „შინაური“ მოწაფეებისათვის სასიამოვნო ოპერაცია, მაგრამ ამ საქმეში თქვენმა ცოდმა, ბიოლოგიის მასწავლებელმა ქალა შეშაბერიძემ მაინც გაჭობათ. მან მოწაფეებისათვის საცნობ ბილეთებს სასვენი ნიშნები გაუკეთა კუთხეებში და დაარიგა ისინი:

— აი, იცოდე, შენ იქნები კითხვითი ნიშანი, შენ—განკვირვებითი, შენ—წერტილ-მძიმე და ასე შემდეგ!

ცხადია, პატივცემულო საგენტი, გუდაჩუყებულმა მოწაფეებმაც თავის მხრივ თქვენი და თქვენი მეუღლის სასიამოვნო „კითხვითი და განკვირვებითი“ ღონისძიებები გაატარეს და გოჭებსა და წინილებს რომ დაპარაკი შეეძლოთ, აქვე მათ თავგადასავალსაც მოისმენდით, მაგრამ მათ ეს უნარი არ შესწევთ.

მაგრამ „მაგარი“ ის არის, რომ თქვენს მიერ მშვენივრად მოფიქრებული ფოკუსი მაინც ჩაშალეს... საგამოცდო კომისიის წევრებმა! აბა, გული როგორ არ მოგივიდოდათ? ამდენი იფიქრეთ, ასე კარგად ასიამოვნეთ მოწაფეებს და ისიამოვნეთ... მათი სიამოვნებისგანაც, და ბოლოს მაინც საქმე „გაიხსნა“ კომისიის წევრებმა ღარიბაშვილმა, ქორთუამ და ფიჩხაიამ არ ირწმუნეს, რომ თქვენმა მოწაფეებმა ნამდვილად იცოდნენ საგნები, ამ „უგულო“ პედაგოგებმა ხათრი არ გაგინიეს და ამხილეს ეს აფერისტობანი. ამხილეს და გააუქმეს ბილეთების სერია. აი, უსიამოვნებაც სწორედ აქ შეგხვდათ.

როცა სხვა პროგრამით დაუწყეს გამოკითხვა თქვენს მოწაფეებს, აღმოჩნდა, რომ მათ ნამდვილად არ იცოდნენ საგნები.

რა გამოუვიდათ მათ, პატივცემულო საგენტი? პირდაპირ დათვური სამსახური: თქვენ „იოლად“ გინდოდათ მათი შუბლიდან უცოდინარობის ბუზის განდევნა, ნამდვილად კი მაგრა დასთხრიშეთ მათ შუბლზე უსიამოვნების ქვა.

მაგრამ ამას ვინ კითხულობს? სამოსწავლო წელი დამთავრდა, მოწაფეები ასე თუ ისე მაინც „გაუბვრნენ“ კომისიას, თქვენ და თქვენი მეუღლე შეშაბერიძე კი „უდანაშაულოდ“ ჩაუვარდით ხედში განათლების განყოფილებას.

ეს არის და ეს! როგორც ხედავთ, თქვენი „უნარები“ უკვე დაწვრილებით ვიციით. მოხარული ვიქნებით, თუ განათლების განყოფილება მაინც დამსახურებულ სიამოვნებასა და პატივისცემას არ მოგაკვებთ.

ნიანგი

ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებნი—ღღევანდელი შეფარდებით*)

ნახ. ღონისა



მიჩურინელი „სამი და“ „ალუბლის ბაღში“.

ნამდვილი „მოგება“.

ზოგიერთ ორატორის კენა კიევში ჩაგვიყვანან

აი, სად არის საჭირო „საჩივრის წიგნი“.

*) ა. ჩეხოვის გარდაცვალებიდან 45 წ. შესრულების გამო.

ანბ. ჩეხოვი

ძვირფასი ძალღი

ხანში შესული სამხედრო მოხელე პორუჩიკი დუბოვი და ჯარში მოხალისედ შესული კნაპსი ისხდნენ და სუამდნენ.

— შესანიშნავი ძალღია!—ამბობდა დუბოვი თავის ძალღ მილკაზე, რომელსაც კნაპსს უჩვენებდა.—შე-სა-ნი-შნავი ერთი მაგის დრუნჩის შეხედეთ, პარტო დრუნჩი რათა ღირს! ძალღების მოყვარული რომ შეხვდეს კაცს, მარტო მაგის დრუნჩი მისცემს ორას მანეთს. არ გჯერათ? მაშ თქვენ არაფერი არ გაგებთ...

— გამეგება, მაგრამ...
— სეტერია, წმინდა სისხლის ინგლისური სეტერია! შესანიშნავი ნაბული იცის. გრძობა ხომ... ყნოსვა! ღმერთო ჩემო, როგორი ქნოსვა აქვს? იცით რა მივეცი მილკაში, როდესაც ის ჯერ კიდევ ლეკვი იყო? ასე მანეთი! ჩინებული ძალღია! მილკა, არა-შადა! მილკა, სულელი! მოდი აქ, მოდი აქ... ჩემო... ლეკვი, ძალღუკა!

დუბოვიმა გულში ჩაიკრა მილკა და ყურსა და ყურს შუა დაუწყო კოცნა. თვალღებზე ცრემლი მოადგა.

— არავის გავატან შენს თავს... ჩემო ლამაზო... ავაზაკო! ხომ გიყვარვარ, მილკა?.. აბა, გაეთრე!—წამოიყვარა უცრად პორუჩიკმა.— ბინძური თათებით პირდაპირ მუნდირზე მახტები! ჰო, კნაპს, ას ორმოცდაათი მანეთი მივეცი ლეკვი. ალბათ ღირდა რომ მივეცი! მხოლოდ ერთი რამაა საწყენი: ნადირობის დრო არა მაქვს. უსაქმოდ იღუპება ძალღი, თავის ნიჭსა მარხავს... აი, ამიტომ ვყიდი. იყიდეთ, კნაპს! მთელი სიცოცხლე ჩემი მადლიერი იქნებით! იქნებ ამდენი ფული არა გაქვთ, ინებეთ, ნახევარს დაგითმობთ... ხუთ თუმნად წაიყვანეთ! გამძარცვთ!

— არა, ჩემო კარგო...—ამოიოხრა კნაპსმა.—თქვენი მილკა რომ ხვადი ყოფილიყო—შეიტლება მეყიდა, მაგრამ...

— მილკა ხვადი არაა?—გაიკვირვა პორუჩიკმა.— კნაპს, რა მოგდით, მილკა ხვადი არაა? სა-ხა... მაშ თქვენი აზრით რაა? ძუკნა? ხა-ხა... ერთი ამას დამიხედეთ! აქამდე დედალსა და მამალს ვერ არჩევს.

— თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოს ბრმა ვიყო ან და ბავშვი.—წყენით თქვა კნაპსმა.—რა თქმა უნდა ძუკნა!

— იქნებ ისიც თქვათ, რომ მე ქალი ვარ! ახ, კნაპს, კნაპს! ტუქნიკური სასწავლებელი არ გაგეთავებია მაინც! არა, ჩემო ძვირფასო, ეს ნამდვილი, წმინდა სისხლის ხვადია! ის კი არა, რომელიც გინდა ხვადი გამოუყვანეთ, უკან მოიტოვებს, თქვენ კი... მამრობითი სქესის არააო! ხა-ხა...

—მაპატიეთ, მიხაილ ივანოვიჩ, მაგრამ თქვენ... სულელი! მთელი. საწყენი-კია...

— რადგან ასეა, საჭირო არაა, ჯანდაბას თქვენი თავი... ნუ იყიდით... თქვენ

კაცი ვერ დაგარწმუნებთ! მალე იმასაც იტყვით ეს კული კი არა ფეხიაო... საჭირო არაა. სიკეთე მსურდა თქვენთვის. ვახრომევე, კონიაკი! მსახურმა კიდევ მოიტანა კონიაკი, მეგობრებმა თითო ჭიქა დაისხეს და ჩაფიქრდნენ. ნახევარმა საათმა სიჩუმეში გაიარა.

— ვთქვით რომ დედრობითი სქესისაა...—სიჩუმე დაარღვია ბოთლზე პირქუშად მიშტერებულმა პორუჩიკმა.— გასაოცარი საქმეა. ეს თქვენთვისვეა უკეთესი. ლეკვებს დაყრის, თითო ლეკვი კი ოცდახუთიანი... ყველა სიამოვნებით იყიდის. არ ვიცი რატომ მოგწონთ ასე გადამეტებით ხვადები? ძუ ათას წილად სჯობია ხვადს. ქალთა სქესი უფრო მადლიერიცაა და მოსიყვარულეც... რაკი დედრობითი სქესისა ასე გეშინიათ, ინებეთ, ოცდახუთად წაიყვანეთ.

— არა, ჩემო კარგო... კაპეიკასაც არ მოგცემთ. ჯერ ეს ერთი, რომ ძალღი არ მჭირდება, მეორე კი ის, რომ ფული არა მაქვს.

— თავიდანვე ავრე ვთქვა, შე დალოცვილ. მილკა, გადი აქედან!—მსახურმა ორივეს ერბო-კვერცხი მთართვა. მეგობრები შეეკენ და ტაფა ხმამაღულ-ბლივ მოსწმინდეს.

— კარგი ყმაწვილი ხართ, კნაპს, პატროსანი...—თქვა პორუჩიკმა ტუჩების წმენდით.—არ მინდა თქვენი ასე გაშვება, ეშმაკმა დალახვროს... იცით რა? უფულოდ წაიყვანეთ!

— აბა, სად უნდა წაიყვანო, ჩემო კარგო?—თქვა კნაპსმა და ამოიოხრა.— ვინ უნდა მოუაროს?

— არა და არა... ჯანდაბას თქვენი თავი! არ გინდათ და ნუ გინდათ... საით? იჯექით!—კნაპსი ზმორებით წამოდგა და ქუდს მოჭიდა ხელი.

— დროა, ნახვამდის!—თქვა მან მთქნარებით.

— მოიცადეთ, გაგაცილებთ. დუბოვი და კნაპსმა ტანთ ჩაიცვეს და გარეთ გამოვიდნენ. პირველი ასე ნაბიჯი ჩუმად გაიარეს.

— იქნებ იცით ვის მივეცე ძალღი?—დაიწყო პორუჩიკმა.—ასეთი ნაცნობი არავინა გყავთ? ძალღი, ხა-ხა... მაშ თქვენ აზრით თვითონ ნახეთ, კარგია, ჯიშინი, მაგრამ მე სრულებით არ მჭირდება!

— არ ვიცი, ჩემო კარგო... მე აქ ნაცნობები არა მყავს!

კნაპსის ბინის კარებამდე მეგობრებს ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ როდესაც კნაპსმა ხელი ჩამოართვა პორუჩიკს და თავის ჭიქარი გააღო, დუბოვიმა ჩახველა და როგორცაღ გაუბედავად ჩაილაპარაკა:

— თუ იცით, აქაურ ტყავისმძრობლებს მიჰყავთ ძალღები?

— ალბათ მიჰყავთ... ნამდვილად კი ვერ გეტყვით.

— ხვალ ვახრომევე გავატან... ჯანდაბას მაგისი თავი—გააძრონ ტყავი... საძაგელი ძალღია! საძაგელი! ის არ იკმარა, რომ ოთახებსა სერის, გუშინ სამზარეულოში რაც კი ხორცი იყო, სულ შეკამა... სა-ძა-გ-ლი... კარგი ჯიშის რომ იყოს კიდევ არაფერი, მაგრამ ნარეგია ქოფაკისა ღორთან! ღამე ნებისა!

— ნახვამდის!—თქვა კნაპსმა. ჭიქარი მიიხურა და პორუჩიკი მარტო დარჩა.

თარგმ. კაპუნა წერეთლისა

ვახუშტის ვიკისპროექტი



ნაპოლეონის რეინტეგრაციის... და ფილოსოფიის... ვაქცინის... მარტო არის სახეს...

ნახატები გ. ლომიძის



საბავშვო მხატვრობის კონკურსი

ბუნებაში მრავალი უცნაურობაა... მარკა... რეინტეგრაციის... მარტო არის სახეს...

სიღიზიარო აქ

წაუბრის სადგურის მართვად... გვიყვარს სილი, გვიყვარს მთა...

კვირიდან საყვარელი

მთავარი ხარისხის კარიერიდან... მთავარი ხარისხის კარიერიდან...

ხორბალი-ვაკა სახარისხარი

სახარისხარის საფრთხე... სახარისხარის საფრთხე...



1. სადგურის უფროსის ა. ჯაბაძის წინაშე... სადგურის უფროსის ა. ჯაბაძის წინაშე...



3. არა გრცხვინია, უფრო... არა გრცხვინია, უფრო...

2. მანქანა სადგურის... მანქანა სადგურის...



4. რის უფროსს კი არა... რის უფროსს კი არა...

სამშობლოში რიგობა

სამშობლოში რიგობის... სამშობლოში რიგობის...



— ვალი იქითა ვაგონში, ვერა... — ვალი იქითა ვაგონში, ვერა...

ვაგონთაა ჩიონ-ქათისი

— ქუთაისი ხარ, ქუთაისი? რიონი... — ქუთაისი ხარ, ქუთაისი? რიონი...

მ. ლომიძე


— ჩას ამბობ, კაცო, რას... — ჩას ამბობ, კაცო, რას...

ქადაგანთა სახარისხარი

რო შვილმა დაგვიყვანა... რო შვილმა დაგვიყვანა...



— კაცო, გუშინ ჩავივლია... — კაცო, გუშინ ჩავივლია...



მთავარი ხარისხის... მთავარი ხარისხის...

საბავშვო მხატვრობის კონკურსი

საბავშვო მხატვრობის... საბავშვო მხატვრობის...

საბავშვო მხატვრობის კონკურსი

საბავშვო მხატვრობის... საბავშვო მხატვრობის...

როგორც იყო დავითანხმე ჩვენი სახლ-მშობლივი და მისი აპარტიდან გადასაყვანი ტელეფონი დავიდგი. აქამდე მე ვეძებდი მას, როცა რაიმე საქმე მქონდა და იშვიათად თუ ვხახულობდი, ახლა კი მან მომძებნა და მითხრა:

— ხომ დავიდგი ტელეფონი?! ახლა ხომ იცი რა უნდა მაგას, ძმაო!—და მიმიკით მანიშნა, რომ საკითხი „მაღარიჩს“ ეხებოდა.

— იქნება, აუცილებლად იქნება, ცოტაც დამაცადე და... პარტიისცემას არ მოგაკლებ.— ვუპასუხე მე.

— აჰ, აჰ, გადადებული საქმე, ხომ იცი, როგორ მეჯავრება! დღევანდელი ქათამი მირჩენია ხვალინდელ იმას... რა ქვია? ხო, სხვა ქათამს. ესეც არ იყო, ძმაო, ჩემს გარდა ხალხია, რომლებსაც ცალკე უნდა კიდევ პარტიისცემა,—მითხრა და საჩვენებელი თითი ცერს გაუსვამოუსვა და ამით მანიშნა, თუ რა „პარტიისცემას“ თხოულობდა.

— ცოტაც მაცადე, ცოტაც, პარტიისცემას როგორ დაგამადლი? შენ ისეთი საქმე გამოიკეთე, რომ დიდად დავალებული ვარ. დიდი მადლობელი ვარ, კალისტრატე, შენი, დიდი მადლობელი.

— აჰ, აჰ, რომელ მადლობაზე მელაპარაკები, კაცო! მადლობა, რომ ისმებოდეს და იკმებოდეს, მართალია მე ხშირად არ ვდებულობ, მარა ავშენდებოდი კაცი.—მითხრა და ნაწყენი წავიდა.

— ბიკოს, თვითონ სულ გვპირდება ბინის სახურავს შევაკეთებო და გვატყუებს. ერთხელ თვითონაც მოტყუდეს, დიდი საქმეა?—გავიფიქრე და ეს ამბავი სულ დავივიწყე.

მთელი დღე მილოცავდნენ ამბანაგები ტელეფონის დადგმას და საღამოს მესტუმრენ კიდევ როგორც იყო გვართვი თავი მასპინძლობას და დილაზე ისმოდა მხიარული სინდერები. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ!—ჩაეძახე ბოხი ხმით და პოზა დავიჭირე.

— მისმენ? ა? კარგად მისმინე შე უზრდელი!—მომესმა ქალის ზომბხედ მეტად აღლვებული ხმა.—ძლივს არ დავიჭირე სახლში!—განაგრძობდა იგი.—აღბათ გიკვირს კიდევაც, თუ ვინ ბედავს შენთან ასეთ ლაპარაკს, არა?

— დიახაც, დიახაც, ქალბატონო. რად მლანძღავთ? ან ვინა გგონივართ?— ვკითხე და პოზა თავისთავად შემეცვალა.

— თქვენდამი რწმუნებულ სახლებიდან ჩამოსულ წვიმით ნამუსიდან გარეცნილო, კი არ მგონიხარ, არამედ ხარ: მატყუარა, ღოთი, უსაქმური, უზრდელი და კიდევ რა, თუ განიტყურებს მეზობლებს მოვიხმარ შენს დახასიათებაში, ისინიც არანაკლებ არიან შენგან გამწარებულნი.

— თქვენ გეშლიათ, მე ისეთი არაფერი გამოიკეთებია!

— საქმეც ისაა, რომ არაფერი გაგიკეთებია,—არ მაცლიდა იგი,—ორი თვეა ჩვენს ეზოში არ მოსულხარ. გეძებთ და ვერსად გვიპოვინიხარ. სამსახურში არა ხარ, არც სახლში ხარ, ღვინის სარდაფები კი ბევრია თბილისში და რომელ ერთში გეძებოთ?

სირუბული ტელეფონი

— მოქალაქეებ, ნერვებს — ნუ მიშლით. ვინ ხართ? რა გნებათ ჩემგან?
— როდის ისწავლე თქვენობით ლაპარაკი, შე გაუთლელი? ნერვებს ნუ მერწლილი? შენ მოგეშალა ნერვები ისე, როგორც ჩვენი წყლის ონკანი? მოშლილი. რა მნებას და გამოგვიარე ერთხელ მაინც. სანაცვო ყუთთან რომ გამოვილი. (თუმცა რას გაგაკვირვებს შენ ნაგავი), კარგად შეათვალიერე. იქ უნდა იყოს შენი

ადგილი, შე უბედურო. შემოსასვლელის კიბებიდან ამოდი. იქნებ ფეხი მოიტეხო და მაშინ მაინც მიხვდე, თუ რა დღეში ვართ შენგან ჩაყენებული. არაყნაცემს წყალი მოგინდება ალბათ, მოგართმევთ მეორე ეზოდან მოტანილ წყალს, არ წინდა? მოდი გვინახულე, ეს ვალია შენი. ბოლოს და ბოლოს ღვინით სავსე ბოთლებს ხომ არ ჩამოვიკიდებთ ალაყაფზე შენს შემოსატყუებლად!

მოთმინება აღარ შეყო ყურმილი ჩამოვიკიდე და დამენატები ტახტზე წამოვწევი. ფიქრმა წამილო: რა უქნარა ყოფილა ჩვენი სახლმშობლივი, რომ ამდენი მომღურავი ჰყოლია-მეთქი. ფიქრი თვლემად გადაიქცა და ის იყო ტკბილად ჩამეძინა, რომ კვლავ ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ალო!—მივაგებე პასუხი.

— ალო შენ და შავი ჰირი. რატომ ახლოს არა ხარ, რომ დავესიოთ და წელი აგათრევიოთ, შე მატყუარავ, შე უპირო, შე... შე... უსინდისოვ!

— რას მერჩით, მოქალაქეებ?

— ერთი უყურეთ ამ უტიფარს, პასუხსაც რომ იძლევა? ფული რომ შეგვაგროვებინე საკვამლე მილის გასაწმენდად—ხელოსანს მოვიყვანო—სად დიკარგე? ჩვეულებრივ იკიბე, ხომ? ა, შენი ბრიყვული დაუდევრობის გამო ხანძარი გარდა და კინალამ გადავიბუგეთ, შენ ამოგებუგოს ცოლ-შვილი.

— თქვენ საერთოდ სცდებით და ამას გარდა მე ცოლ-შვილი არა მყავს.

— ნურც ვალირისოს! როგორც ამდენ მომზადრეებს გვატყუებ და გავაწარებ— ასევე დასტანჯავ იმათაც!

— მოითმინეთ, აქ პატარა გაუგებრობაა, ეს ექიმ პანტაურის ბინა გახლავთ. რა გნებათ ჩემგან?

— ექიმ პანტაურის? ბოდიში, ტყუილად გამილანძღინართ, ამ აღლვებულ გულზე,—მეორედ ვერც კი მოვახერხებ.

მოზოდიშებით ჩამომიკიდა მილი. ამ დღიდან მოსვენება აღარ მქონდა, სხვის მიერ დამსახურებული საყვედურები ჩემს კისერზე გად-დიოდა. უცნაური ის არის, რომ ხშირად თვითონ სახლმშობლივიც კი მონაწილეობდა ამაში: ამ დღითაც გადმომძახა ფანჯრიდან.

— აილე თუ ძმა ხარ, ყურმილი, ალბათ შენ გელაპარაკებინა:—„წვიმა ჩამოგდის და გაგაცივდითო“. მე რომელი ექიმი ვარ.—მითხრა და ოთახში შევიდა მაგრამ უკვე ჰკუა ვისწავლე, აღარ ვტყუვდები.

გ. ნიშნინიძე

ქარაგული ნაქვესაი

1. ასტრონომს უხაროდა, რომ უფასოდ მგზავრობდა მზის გარშემო.
2. კაბინეტში, მაგიდის ქვეშ, ექვსი ფეხი გაშეშებულიყო: ოთხი მაგიდისა და ორი—ნაქეიფარი, ჩაძინებული ღირეჭტორის.
3. საწყობის გამგეს რევიზია და გული ერთად მოუვიდა.
4. ბაზრის გამგეს წიწმატისა და თაფლის გამყიდველები ხან აწიწმატებდნენ და ხან თაფლაგდნენ.
5. „არასოდეს მიცრუიაო“—თქვა მან და კიდევ ერთხელ იცრუა.
6. მეხანძრე ცეცხლთაყვანისმცემელივით გაშეშებულიყო აღმოდებულ სახლის წინ.

ედიშერ შიზიანი

ძღვის მარჯო ღარჩა

ნახ. ა. ბანძელაძისა



— სად აპირებ დასვენებას?
— აქვე, ჩემს სახლში: მეზობლები წავიდნენ, რადიო გამოთიხეს, პატეფონი გაჩუმებულია, ჩემი მეზობელი, კონსერვატორიის სტუდენტიც არდადევებზეა!

ახალი ანლაზაი

1. ნიავი არა ქროდა და ქონება ნიავდებოდაო.
2. თავმჯდომარის თიკანი—ფერმის თიკანს გარედ აგებდაო.
3. გამგე ოფიციალტს ხადტურას თხოვდა, მოსადილე ჩიოდა—ვაი ჩემი ჯიბის ბრაღიო!
4. ადვოკატმა სიზმარში ქურდი დაიჭირა და ცხადში წამოიძახა: პატიოსანი კაციო.
5. ხალხის ქება სიკვდილამდე გაგყვება, თამადისა—კარებამდეო.
6. ტყისმცველი ნედ ხეს ჭრიდა და—„რალა სხვამაო“.
7. წინდახედული კაცი უკანაც მოიხედავსო.

შეკრიბეს გ. შალაშვილი და დ. კაკაბიშვილი



— ეგენი ისეთი მთვრალეები არიან, ერთი ორად ეჩვენებათ. მიდი, ოთხი ბოთლი რვად უანგარიშე.
— ვუანგარიშე, მაგრამ სწორედ იმან დამღუპა, რომ ერთი ორად ეჩვენებათ: რამდენი თუმანიანიც ამოიღო, იმდენი ორ თუმნად დამითვალა!

მოღების ატელიე

მშვენიერი საკოსტუმე მატერია ვიყიდე, მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა ჩემს წინაშე აღნიშნული მატერიის ყიდვის შემდეგ: ვის, ან რომელ ატელიეში გავაფუჭებინო ეს მშვენიერი ლენინგრადაული საკოსტუმე.

შემემლო მიმეტანა მარქსის მოედანზე მდებარე „მოღების ატელიეში“ მაგრამ იქ მე სახელი გატეხილი მაქვს და აღარ მენდობიან. ჩემი სახელის გატეხვა, ანუ გაფუჭება აღნიშნულ ატელიეს მასშტაბით მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩემივე კოსტუმის გაფუჭებასთან. ეს მოხდა შარშანწინ. მაშინაც მშვენიერი საკოსტუმე მივიტანე. ოფიციალურ ფასთან ერთად ყოველგვარ „საჩუქარს“ და „ხალტურასაც“ დავპირდი.

მაგრამ როცა ერთი თვის შემდეგ მზა კოსტუმე ჩავიცვი და სარკეში ჩავიხედე, ელდა მეცა! სარკეში დავინახე საგულდაგულოდ დამზადებული საფრთხობელა. დიახ, საფრთხობელას ვგავდი და თამამად შემემლო შემესრულებინა ეს ფუნქცია რომელიმე საკარმიდამო ბოსტანში. რა თქმა უნდა, არა თუ „ხალტურა“ აღარ მივეცი აღნიშნული საფრთხობელის ავტორს, არამედ გავჯავრდი კიდეც და რამდენადაც ახლა მახსოვს, მკვანედაც მიემართე. ამის საპასუხოდ მან ინტრიგანი მიწოდა და რაღაც თავისთვის წაიდუღუნა.

ყველა ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ახალ საკოსტუმეს მე იქ ვეღარ მივიტანდი. მაშ სად შევიკვრო? მოდი მივიტან ავჭალის მოედანზე მდებარე „მოღების ატელიეში“ (ყოფილ მაღაქების ბაზართან რომ არის).

მივიტანე. დამაშავესავით ვდგავარ შეკვეთების მიმღები ქალის წინაშე. — მიიღეთ შეკვეთა და შემიკვრეთ.— ვუხუბნები. — მამაკაცის ტანსაცმლის შეკვრის მიღება შეწყვეტილია.— იყო პასუხი.

წამოვედი გულდათუთქული, იენისის მზე კეფაზე მაჭერს, ხოლო ცხელი ნიავი ავჭალის მოედნიდან აკრფელი მტვერს საგულდაგულოდ მაყრის.

საით წავიდე? მოდი მივიტან ლიტონდის ატელიეში! რამდენიმე წუთის შემდეგ ლიტონდის „მოღების ატელიესთან“ ვიდექი. ჯერ დავათვალიერე უკვე შეკვრილი კოსტუმები. დავაკვირდი ერთ-ერთ კოსტუმს, რომელიც ვიტრინაში იყო გამოკიდებული და რომელიც უკვე ვიტრინიდანვე აფრთხობდა ადგილობრივ ბელურებს.

არა, აქ ვერ გავაფუჭებინებ ჩემს მშვენიერ საკოსტუმეს. შევუხუფე მოღების ატელიეში (№ 7).

— შემიკვრავთ? — მაშ აქ რას ვაკეთებთ!.. რამდენი მეტრია... — სამი მეტრია, ხომ გამოივია? — გამოვიყვანო შენი ხათრისთვის. ეხლა წახვალ და მოიტან სარჩულს, ვგრეთ წოდებულ ხოლსტს, ნარმას, ლილვებს, ანუ ფოლაქებს, ძუას...

— იქნებ თქვენ ნემსიც და სათითურიც მომთხოვოთ! — ნემსი და სათითური?— დაფიქრდა ოსტატა, — არა, ნემსს და სათითურს ჩვენ ვიშოვით შენი ხათრისთვის... — ძუა სადღა ვიშოვნო. ან იქნებ ცოცხალი ცხენია საჭირო!

— ცხენი?.. არა. ცხენი საჭირო არ იქნება. ოღონდ ძუა უთუოდ უნდა მოიტანოთ. გამოვედი გარედ. დასწყევლოს ეშმაკმა! სად უნდა. იყიდოს კაცმა ეს ხოლსტი, ნარმა და ძუა! ოცდაცხრა წელია თბილისში ვცხოვრობ და ძუა არსად შემხედრია გასასყიდად...

ამომიჩრია ილიაში ჩემი საკოსტუმე და დავდივარ ატელიედან ატელიეში...

მ. ლიპაძე

უკვდავების წყაროდ გვიტყა ჩვენს უბანში ნატახტარი... ხან თუ ერთ წუთს მოგვევლინა, მეორე წუთს აღარ არი... მის კვალს ვეძებთ ეზო-ეზო, ნუთუ ყველგან ასე წყდება? თუკი სადმე წავაწყდებით, მტერს და ღუშმანს, რაც იქ ხდება: წამალივით წვეთებს თვლიან, ხალხი ონკანს ახვევია. აბა, როგორ არ აღმუფოთდეს, ვინც ამ ამბის მნახველია? წყალსადენის დირექციამ ჯავრით გული დაგვიფატრა, ნეტავი თუ რა შევცოდეთ, რომ წყალიც კი მოგვანატრა?

თ-იპი

ერთხელ...

ერთხელ მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში მყოფ ა. პ. ჩხოვს მიესალმა და ფამილარულად გამოვლაპარაკა რომელიღაც პროვინციიდან ჩასული დაბადი ნიჭის მსახიობი.

— აა, მოსკოვში ჩამობრძანდით?— შეეკითხა ჩხოვი. — დიახ! ჩამოვედი, რომ თქვენი თეატრები დავათვალიერო და თქვენი ნაქები მსახიობებისაგან ვისწავლო, — ირონიით მიუგო მსახიობმა.

უხერხული ლაპარაკის თავიდან აცილებისა და კანდიერი მსახიობისათვის პასუხის გაცემის მიზნით, ა. ჩხოვმა იქვე მდგომ მეგობრებს დაუწყო საუბარი:

— დღეს ეტლით მოვდიოდი. ძალიან ჯაგლაგი ცხენები აღმოჩნდნენ ჩემს მეეტლეს. სცემდა, უჯავრდებოდა და მაინც ვერ ააჩქარა ისინი!

— ხანტი ცხენები გყოლია მეთქი, — მიემართე მეეტლეს.

— დიახ, ბატონო, — ნამდვილი ჯაგლაგები არიან, — მომიგო მან, — ამას წინათ დოღებდაც კი წავიყვანე, რომ ენახათ თუ რა სწრაფად დაქრიან დოღის ბედაურები, მაგრამ მაგალითმა მაინც ვერ გასტრა, ისე ჯაგლაგებდად დარჩნენ.

უნიჭო მსახიობმა თითქოს არ შეიმჩნია, რომ გამოჩენილ მწერლის საუბარი მას ეხებოდა და აჩქარებით გავიდა თეატრიდან.

ჩაწვა



— გუშინ თათბირზე თქვენი მალაზიის გამგეს დასცხეს — საქონელი ჩაგვიწვა.

— ჩვენი მალაზიის გამგეც ჩაგვიწვა... ერთმა ლამაზმა ქალმა და თან ისე მაგრად, რომ ჩაწოლილი საქონლის რეალიზაცია მის კურორტზე გავწავნას მოანდობა.

99-173



წევრიანი
წევრიანი

კინკრებმა გაახსენეს

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— არ მასვენებენ, იკბინებიან, რა უბედურებაა, აქაც საწარმოო თათბირია?!

საკადავციო კოლექცია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბუღიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 8-10-49

სვლმოწ. დასაბ. 1949 წ. 28/VII. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შუკ. № 938 ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შუკ. № 1534, თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 81. ტირ. 11000, უფ 05080. |